ადამიანური რესურსების როლი ადგილობრივი თვითმმართველობის დეცენტრალიზაციის რეფორმის პროცესში

თამარ კავკასიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინა ეგუტია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

სარჩევი

1. შესავალი.....4
2. რამდენად იზრდება უფლებამოსილების დონე რეფორმის შემდგომ…...6
3. არსებული მდგომარეობა.....9
4. როგორ ასრულებენ უფლება-მოვალეობების თვითმმართველი ერთეულის საჯარო მოხელეები რეფორმამდე……...…….....10
5. რეფორმის შედეგი არსებულ სიტუაციაში.....13
6. ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა უწყვეტი სწავლების კონცეფცია.....15

6.1 ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა უწყვეტი სწავლების სისტემაში ჩართული უწყებები და მათი ფუნქციები……....18

6.2 ევროპის კავშირსა და საქართველოს მთავრობას შორის 2011 წლის 14 ნოემბრის დაფინანსების ხელშეკრულება……..…..22

7. წარმატებული რეფორმის წინაპირობები.....26
8. ევროსაბჭოს რეკომენდაციები.....27
9. მოქალაქეთა ჩართულობის როლი დეცენტრალიზაციის რეფორმის პროცესში.....31
10. დასკვნა.....35
11. გამოყენებული ლიტერატურა.....37

აბსტრაქტი

საქართველოში დეცენტრალიზაციის რეფორმა 2013 წლის ბოლოდან დღემდე არ კარგავს აქტუალობას, თემის გარშემო არსებობს ბევრი განსხვავებული აზრი, თუმცა არც ისე ბევრს საუბრობენ იმაზე, თუ რა როლი ეკისრებათ ადამიანურ რესურსებს მიმდინარე რეფორმის განხორციელებისა და შემდგომ პერიოდზე.

ჩემს ნაშრომში დავამტკიცებ, რომ ადამიანური რესურსების როლი, როგორც საჯარო, ისე სამოქალაქო სექტორისთვის უმნიშვნელოვანესია რეფორმის შედეგიანად განხორციელებისთვის. ამისათვის საჭიროა შემუშავდეს გადამზადების სისტემა, რომლის მეშვეობითაც გაიზრდება მოხელეთა კვალიფიკაცია, რაც პირდაპირპროპორციულია რეფორმის შედეგად გაზრდილი უფლებამოსილების სწორად გამოყენებაში.

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა ჩართულობას რეფორმის პროცესში, აქ მნიშვნელოვანია საჯარო სისტემა იყოს გამჭვირვალე, მოქალექეებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ნებისმიერ საჯარო ინფორმაციაზე და ასევე შესაძლებლობა ცვლილებების შეტანისა. ეს არ უნდა იყოს მხოლოდ კანონი, მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ საკუთარი უფლებები და უნდა შეეძლოთ მისი ფართოდ გამოყენება.